

გიორგი მაჭავარიანი

საქართველოს 2007 წლის საგადამხდელო ბალანსი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით

აღნიშნულ სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს 2007 წლის საგადამხდელო ბალანსი, რომელიც დაშლილია ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით. მისი ყველა მუხლი დაყოფილია შემდეგი ქვეყნებისა და რეგიონის მიხედვით: ევროკავშირი, აშშ, თურქეთი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ჩინეთი და დარჩენი ქვეყნები.

ამ სტატიის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ასახავს საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგან საგადამხდელო ბალანსი არის ქვეყნის მთავარი დოკუმენტი საგარეო სექტორში. საქართველოს საგარეო ბალანსის სრულმა დაშლამ საშუალება მომცა, დადგენილიყო, თუ რა რაოდენობითა (დაახლოებით) და მიმართულებებით მოძრაობდა რეალური და ფინანსური აქტივები საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის 2007 წლის განმავლობაში.

საქართველოს 2007 წლის საგადამხდელო ბალანსის სრულად დაშლამ, შერჩეული სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით, საშუალება მომცა შემდეგი დასკვნების გამოტანისა:

- საქართველოს გააჩნია უარყოფითი ბალანსი მიმდინარე ანგარიშში უმრავლეს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან. იგი დადებითია მხოლოდ სომხეთის, რუსეთის ფედერაციისა და აშშ-ს მიმართ;
- საქართველოს აქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი თითქმის ყველა შერჩეული ძირითადი პარტნიორი ქვეყნის მიმართ, გარდა სომხეთისა;
- კაპიტალის ანგარიშის ბალანსი დადებითია ყველა სახელმწიფოს მიმართ;
- საქართველოს გააჩნია დადებითი ფინანსური ანგარიშის ბალანსი ძირითად პარტნიორ ქვეყნებთან. რაც იმის მანიშნებელია, რომ 2007 წელს ადგილი ჰქონდა ფინანსური აქტივების შემოდინებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის;
- საქართველოს მთლიანმა ბალანსმა (რეზერვების ცვლილების გამოკლებით) გვიჩვენა, რომ მთავარი წყაროები, საიდანაც ადგილი ჰქონდა ფინანსური და კაპიტალური აქტივების შემოდინებას არიან: ევროკავშირი, აშშ, რუსეთის ფედერაცია და ყაზახეთი. სწორედ ამ სახელმწიფოებდან შემოსული ფინანსური აქტივებით დაფინანსდა სავაჭრო დეფიციტის უდიდესი ნაწილი.